# ხელშეკრულება № 13

337
398

ქ. ლაგოდეხი 10.10.2015წ

იდება, ერთის მხრივ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზ. ჯან/დაცვის სამსახურის უფროსის ნ. ნოზაძეს (იურიდიული მისამართი: ჯანელიძის №1) შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, " შპს გოლდი", შემდგომში "მიმწოდებელი"( იურიდიული მისამართი: ქ. ლაგოდეხი. ზაქათლის ქუჩა) -- შორის

## *1.ხელშეკრულების საფუძველი*

1.4 „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი;
1.2 2015 წლის სახელმწიფო პროგრამა.

## *2. ხელშეკრულების საგანი*

2.1 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს ლაგოდეხის საზ. ჯან დაცვის სამსახურის პირადი ჰიგიენის საგნების და სანიტარული საგნების მომარაგებით.

## *3. მხარეთა ვალდებულებები*

3.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია შეასრულოს პუნქტი 2.1-ით გათვალისწინებული მომსახურება;
3.2 „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" გაწეული მომსახურების ღირებულება ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით, „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის მიღება-ჩაბარების აქტის ან ანგარიშფაქტურის საფუძველზე არა უგვიანეს 15 კალენდარეული დღისა.

## *4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

4.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს მოითხოვოს ხარისხიანად და დროულად მომსახურების გაწევა და თუ „მომწოდებელი" არასათანადოდ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს, მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება გაწეული მომსახურების ანაზღაურების გარეშე;
4.2 „მიმწოდებელს" უფლება აქვს მოითხოვოს „შემსყიდველისგან" გაწეული მომსახურების ღირებულების დროული ანაზღაურება მიღება-ჩაბარების აქტის ან აგარიშფაქტურის საფუძველზე

## *5.ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

5.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 50 ლარს

## *6. ხელშეკრულების შეწყვეტა*

6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული, ან მისი ცალკეულ პირობათა მოქმედების შეწყვეტის შესახებ;
6.2 მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე არაუგვიანეს ორი კვირისა;
6.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს სხვა ვალდებულებათა შესრულებისაგან;
6.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს „მომწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან;
6.5 „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

6.6 თუ „შემსყიდველისთვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.7 „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;

6.8საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 7. სხვა პირობები

7.10 მხარეებს არ ენიჭება უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობა;

7.11 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ხელშეკრულებაში ცვლილებათა შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, „შემსყიდველი“ ვალდებულია წარუდგინოს „მიმწოდებელს“ რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რამაც წარმოშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

7.12 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ფორმდება ხელშეკრულებაზე დამატების სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.7 დავის შემთხვევაში საკითხი გადაწყდება მოლაპარაკების წესით, საკითხის გადაუწყვეტელობის შემთხვევაში სასამართლო გზით;

8.8 „მიმწოდებლის“ მიერ სახელშეკრულებო პირობების დარღვევის ან შეუსრულებლობის შემთხვევაში „მიმწოდებელი“ ვალდებულია აუნაზღაუროს სახელმწიფოს მიყენებული ზარალი, რომელიც განისაზღვრება სასამართლოს მიერ.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.7 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 10.10..2015 წლიდან 10.11...2015 წლამდე

9.8 ხელშეკრულება გაფორმებულია ორ თანაბარძალოვან ეგზემპლარად.

## მუხლი 10: მხარეთა იურიდიული მისამართები

„დამკვეთი“
ლაგოდეხის საზ. ჯანდაცვის
მისამართი: ჯანელიძის №1
ა\აGEO8LBO115138142109000
ს/კ233107081
ბანკის კოდი:LBRTGE22

სამსახურის უფროსი:

შემსრულებელი
შპს გოლდი:
მისამართი: ქ. ლაგოდეხი.
ზაქათლის ქუჩა№5
ა/ა GE27LB0113138153437000
ს/კ 233113243
ბანკის კოდი: LBRTGE22

შპს გოლდის უფროსი: